ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოდ შემოღების სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგები

ანა მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023წ

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანა მაისურაძე

16/06/2023

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოდ შემოღების სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგების ანალიზი. ნაშრომში განხილულია ადგილობრივი კანონმდებლობა, შედარებულია ევროპის ქვეყნების მაგალითებთან და მოყვანილია ის რეკომენდაციები, რასაც ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართალი და ევროკავშირი იძლევა. კვლევის ფარგლებში განხილულია როგორც დაზღვევის სამართლებრივი ბუნება, ისე მისი გავლენა ეკონომიკაზე. ნაშრომი მოიცავს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზღვეულისა და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. ასევე, მესაკუთრისა და მძღოლის პასუხისმგებლობას ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, მის განვითარებაზე, ევროპაში არსებულ კანონმდებლობასა და იქ გავრცელებულ პრაქტიკაზე. კონსტიტუციურ ჭრილში განხილულია თუ რამდენად ზღუდავს საკუთრების უფლებას დაზღვევის სავალდებულო ფორმის დამკვიდრება და შედარებულია ეს ორი სიკეთე ერთმანეთთან. კვლევის ფარგლებში შეჯამებულია საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოდ დანერგვის სირთულეები და სამომავლო ეფექტი. ნაშრომის საფუძველზე გამოჩნდა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც შეიძლება გამოიწვიოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოდ გახდომამ.

საძიებო სიტყვები: დაზღვევა; სავალდებულო დაზრვევა; პასუხისმგებლობა; მესამე პირი; ავტოსატრანსპორტო შემთხვევა; ზიანის ანაზღაურება.

Abstract

The purpose of the study is to analyze the legal and economic consequences of the mandatory introduction of civil liability insurance for motor vehicles and car owners. The paper discusses local legislation, compares it with examples from European countries, and provides recommendations based on international law and the European Union's guidelines in this area. The study explores both the legal nature of insurance and its impact on the economy. It covers the issue of compensation for damages caused to the insured and third parties during motor vehicle accidents, as well as the responsibilities of both the owner and the driver in such situations. The research primarily focuses on civil liability insurance for motor vehicles and car owners, including its development, existing legislation in Europe, and prevalent practices. It also examines the constitutional aspects, discussing the extent to which the establishment of mandatory insurance limits property rights and comparing the benefits of insurance with those of property rights. Furthermore, the study summarizes the challenges and potential future effects of introducing compulsory civil liability insurance for motor vehicles and car owners in Georgia. Based on the findings, the paper highlights both the positive and negative aspects that may arise from the mandatory implementation of civil liability insurance for motor vehicles and car owners.

Search words: Insurance; compulsory insurance; liability; third party; motor vehicle accident; compensation.